საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიოშვილი ნოდარ ალექსის ძე



ნ. გიოშვილი

გიოშვილი ნოდარ ალექსის ძე (დ. 21. III. 1935, თბილისი), ფილოლოგი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი. 1959 დაამთავრა თბილ. უცხო ენათა პედ. ინ-ტი. 1959–65 იყო საქართვ. მეცნ. აკად. ცენტრალური სამეცნ. ბ-კის სწავლული მდივანი, 1965–66 – ა. ნათიშვილის სახ. მორფოლოგიის ინ-ტის მეცნ. მუშაკი, 1966–86 – ქსეის სიტყვანისა და ბიბლიოგრაფიის რედაქციის წამყვანი სამეცნ. რედაქტორი და ბიბლიოგრაფიის ჯგუფის ხელმძღვანელი, 1986-იდან – სამეცნ. კონტროლის რედაქციის გამგე; 2002-იდან არის სამეცნ., *სალიტ.* კონტროლის, სიტყვანისა და ბიბლიოგრაფიის რედაქციის გამგე.

გ-ის პირველი გერმ. თარგმანები დაიბეჭდა 1956 ბერლინში („აკაკის ნაკვესები", გაზ. «ტრიბიუნე»). გერმანულად თარგმნა აგრეთვე სულხან-საბას იგავ-არაკები; ქართულად – კ. რომელის „კავკასიის ხალხები" (2011). ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის მომზადებასა და გამოცემაში შეტანილი წვლილისათვის 1987 მიენიჭა საქართვ. კულტურის დამს. მუშაკის წოდება. ავტორია მასში დაბეჭდილი მრავალი სტატიისა. ქსე-ის გარდა, გ. მონაწილეობდა სხვადასხვა პერსონალური თუ დარგობრივი ენციკლოპედიების, ლექსიკონების, მონოგრაფიების და ა. შ. რედაქტირებაში.